



## ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 022/11

### 1. ფაქტები

ო.ფ. გახლდათ სს „X“-ის დირექტორი. ც.ჯ. წარმოადგენდა და იცავდა სს „X“-ის ინტერესებს სასამართლოში. სს „X“-ის დირექტორმა სასარჩელო განცხადება შეიტანა ქ. ღ-ს (კომპანიის აქციონერი) წინააღმდეგ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რომელიც დაკმაყოფილდა. ადვოკატ ც.ჯ.სა და კლიენტის (ო.ფ.) მოწინააღმდეგე მხარეს, ქ.ღ.ს შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობა; კერძოდ, ადვოკატი ც.ჯ. გახლდათ სამეთვალყურეო საბჭოს იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი, ხოლო ქ.ღ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2011 წლის 11 თებერვალს ადვოკატმა ც.ჯ.მა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სააქციო საზოგადოება „X“-ის სახელით და მოითხოვა ო.ფ.ს მიერ 2011 წლის 28 იანვარს წარდგენილ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა და 2011 წლის 25 იანვრის განჩინების გაუქმება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამყენების თაობაზე.

### 2. პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ო.ფ.მ ადვოკატ ც.ჯ.სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება აღედრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ც.ჯ.ს მიმართ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის, ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის და ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის თაობაზე.

### 3. ეთიკის კომისიის სამართლებრივი მსჯელობა

შეეძლო თუ არა ადვოკატ ც.ჯ.ს თავის კლიენტთან შუთანხმებლად მიეღო საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება?

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირის ინტერესებზე მაღლა“.

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ადვოკატის მიერ საქმის წარმოებისას კლიენტი უნდა იღებდეს მის საქმესთან დაკავშირებით არსებით გადაწყვეტილებებს, როგორცაა: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარი, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისთვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გაცემული მინდობილობის მიუხედავად კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ადვოკატის მიერ უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებით და არა ერთპიროვნულად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ კლიენტის თანხმობის გარეშე გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც კლიენტს უზღუდავს სასამართლოს გზით ინტერესების დაცვის საშუალებას და საფრთხის ქვეშ აყენებს კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადვოკატ ც.ჯ.ს განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტისა და ყადაღის გაუქმების თაობაზე შეფასდა, როგორც კლიენტის ინტერესების



საწინააღმდეგო, რადგან აღნიშნული განცხადება არ იყო კლიენტის მიერ მოწონებული და კლიენტის ინტერესს წარმოადგენდა საქმის განხილვა და სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ც.ჯ.ს არ შეეძლო კლიენტთან შეუთანხმებლად მიეღო საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ამასთან ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო კლიენტის ინტერესებში.

შეეძლო თუ არა ადვოკატ ც.ჯ.ს განეხორციელებინა ო.ფ.ს წარმომადგენლობა მაშინ, როდესაც წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი?

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველო კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია... ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყონებლივ აცნობოს ამის თაობაზე.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.“

ეთიკის კომისიამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ადვოკატ ც.ჯ.ს წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი ო.ფ.ს ინტერესების დაცვისას ქ.დ.ს წინააღმდეგ, რადგან ადვოკატ ც.ჯ.სა და მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს, ქ.დ.ს შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობა, რაც ადვოკატის მიერ დადასტურდა განხილვის კოლეგიის ეტაპზე მუცემული ახსნა-განმარტებით. ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოების დადასტურებისას მნიშვნელოვნად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატ ც.ჯ.ს ინტერესებს წარმოადგენდა ქ.დ.. ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის საქმიანი ურთიერთობისა და ვალდებულებების არსებობა წარმოშობს საფრთხეს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებზე მაღლა დაყენებული იქნას ადვოკატის პირადი ან კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესი. ადვოკატი ც.ჯ. არ უნდა გამოსულიყო სასამართლო პროცესზე და ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო უნდა შეეწყვიტა ო.ფ.ს წარმომადგენლობა.

დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელი ზომის გამოყენებაა მიზანშეწონილი მოცემული შემთხვევაში? „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, მე-8 მუხლის პირველი ქვეპუნქტითი და 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლი და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი; 33-ე და 35-ე მუხლები.

ეთიკის კომისიამ დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე მსჯელობისას შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია, რომ ადვოკატ ც.ჯ.ს ქმედებებით არსებითი ზიანი არ მიადგა ო.ფ.ს ინტერესებს. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და უშუალოდ ო.ფ.ს დაუკავშირდა აღნიშნული მოთხოვნის დადასტურების მიზნით.

ადვოკატ ც.ჯ.ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.